

დრო კი არ იცდის...

— ხუთ თვეში ოლიმპიური სპორტული ლატარიის 20 მილიონამდე ბილეთი გაიყიდა, — თქვა პარასკევს მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კ. ყაროვმა, რომელიც სატირაჟო კომისიას ხელმძღვანელობს. მან დამსწრეთ მოაგონა, რომ ოლიმპიური ლატარიის 3.415.000 მოგებიდან 1800 მსუბუქი მანქანაა „ვოლგის", „მოსკვიჩის" და „ზაპოროჟეცის" მარკისა. პირველ სპორტულ ლატარიაში სულ 60 მანქანა გათამაშდა. ამჯერად ბევრად გაიზარდა სხვა მოგებათა რიცხვიც. მათში შედის 300 ტურისტული საგზური გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იუგოსლავიის საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებებისა, 11.900 — სსრ კავშირისა. ამასთან, მოგებული ბილეთების უმეტესობა ერთბაშად 2 საგზურის მიღების უფლებას იძლევა.

პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ტარდება საკავშირო კონკურსი ოლიმპიური ლატარიის ხაუკეთესო პროპაგანდაზე. პრემიებს მიიღებენ იმ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, რომლებიც სისტემატურ რეკლამას უწევენ ოლიმპიურ ლატარიას.

ოლიმპიური სპორტული ლატარიის ჩატარების სამმართველოს უფროსმა ი. გალპერინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლატარიის შემოსავალი სპორტის განვითარებას მოხმარდება. მაგალითად, პირველი სპორტული ლატარიის ჩატარების შედეგად აიგო ნიჭბოხნობის ბაზები კიევსა და ასტრახანში, ხელოვნური საცეგურაო ბილიკი სვერდლოვსკში, სპორტული ბაზები ამერკავკასიის რესპუბლიკებსა და სხვა ადგილებში.

ახლანდელი ლატარია კარგად იყიდება უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, ესტონეთსა და საქართველოში. რუსეთის ფედერაციაში, აზერბაიჯანში, მოლდავეთსა და ლიტვაში ეს საქმე ჯერჯერობით ვერ მოგვარდა, დრო კი არ იცდის: ოლიმპიური ლატარია ივლისში გათამაშდება.

(საკდესი).

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 112 (3596)

9 1968 წ. ივნისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ — '68

ᲯᲣᲯᲣᲜ...

რომის „სტადიო ოლიმპიკოს" მინდორზე ევროპის ჩემპიონატის მატჩში III სპრინტი ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.

მატჩი თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო. პირველი 15 წუთი საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ შემდეგ თამაში გათანაბრდა და მწვავე, ორმხრივ იერიშებში წარიმართა. 39-ე წუთზე საბჭოთა გუნდის საჯარიმო მოედანზე სახიფათო მომენტი შეიქმნა და დაუღალავმა ბ. ჩარლტონმა შეუჩერებლივ ძლიერად დაარტყა მეტოქის კარში. პშენიჩნიკოვის ნახტომი ამაო გამოდგა — ინგლისელები დაწინაურდნენ — 1:0. ეს იყო ჩარლტონის 46-ე გოლი ინგლისის ნაკრების მატჩებში (როგორც ცნობილია, II ადგილზე დგას გრივსი — 44 ბურთი).

შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონებმა მტკიცედ იგდეს ხელში ინიციატივა და თამაში მათთვის სასურველ კალაპოტში გადაიყვანეს. 64-ე წუთზე საბჭოთა გუნდის მცველთა უხეში შეცდომა საუცხოოდ გამოიყენა ბერსტმა და მეორე ბურთი მოათავსა მეტოქის კარის ბადეში.

საინტერესო თამაშში გამარჯვება მოიპოვეს ინგლისელებმა — 2:0. ამრიგად, IV ადგილზე დარჩნენ საბჭოთა ფეხბურთელები. აქვე გვიან ღამით დამთავრდა გათამაშების ცენტრალური შეხვედრა ოქროს მედლებისთვის: იტალია — იუგოსლავია. ამ მატჩის ანგარიშს შემდეგ ნომერში იხილავთ.

სსრ კავშირის პირველობა



გუშინ თბილისსა და ქუთაისში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მოსკოვის „დინამოს" თანაკლუბელთა გუნდები.

ყოველად უფერული და უინტერესო თამაში დამთავრდა ისე, რომ მეტოქეებს არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

ქუთაისის „ტორპედო" შეხვდა „კირატს". ეს მატჩიც ფრედ დამთავრდა — 1:1. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა ვეკუამ, მაგრამ შესვენების შემდეგ ალმაათელებმა მოახერხეს საპასუხო გოლის გატანა.

ამ ტურის სხვა მატჩები ასე დასრულდა:

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲙᲘᲠᲝᲕᲐᲑᲐᲓᲘ) — „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ" 1:1
ᲐᲡᲙ (ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ) — „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ" 3:1
„ᲜᲔᲤᲢᲩᲘ" — „ᲖᲐᲠᲘᲐ" 0:0
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ" — ᲪᲡᲙᲐ 1:1
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" — „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ" 2:0

ᲥᲐᲚᲗᲯᲘᲒᲘ, ᲒᲛᲚᲘᲒᲘ, ᲯᲘᲗᲛᲐᲯᲘᲒᲘ

7 ივნისს გაიმართა 2 მატჩი.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის ტორპედოელთა შეხვედრას მინსკის დინამოელებთან. ანგარიში გახსნა მოსკოველმა შალიმოვმა, რომელმაც კარგად გამოიყენა სტრელცოვის შიერ გათამაშებული საჯარიმო დარტყმა. საპასუხო ბურთი სტუმრებმა მეორე ტაიმში გაიტანეს (ვასილიევი) — 1:1.

კუიბიშევში დიდ წარმატებას მიაღწია „ზენიტმა", რომელმაც ანგარიში 2:0 დაამარცხა ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი". პირველი ბურთი გატანა ვონჩაროვმა, ხოლო უნაწილმა განამტკიცა ლენინგრადელთა გამარჯვება — 2:0. ეს კუიბიშეველთა პირველი მარცხია შინ.

„ᲓᲘᲓᲘ ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲘ" — ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲐᲡ

მოსკოვი, 8 ივნისი. გუშინ აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის განმეორებითი ფინალური მატჩი ადგილობრივ გუნდებს — ცსკა-სა და „დინამოს" ფრენბურთელ ქალთა შორის. ამჯერადაც დინამოელებმა იმარჯვეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გუნდებმა პარტიების მაქსიმუმი გათამაშეს — 3:2 (9:15, 14:16, 15:5, 15:3, 15:12).

ამგვარად, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ტრადიციული პრიზი „დიდი კრისტალი" არმიელებმა დინამოელებს გადაუცეს. გამარჯვებულებს გადაეცათ, აგრეთვე, პოლონური ჟურნალის „სპორტოვეციის" ბროლის თასი.

ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲣᲠᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲡ

ჩიტა, 7 ივნისი. მონღოლეთის სახალხო არმიის გუნდის „ალდარის" და იმიერბაიკალის სამხედრო ოლქის ფეხბურთელთა მატჩი უჩვეულოდ დაიწყო. როცა მეტოქენი მინდორზე გამოვიდნენ, სტუმართა გუნდის უფროსმა, ხალხიგოლის ბრძოლების მონაწილემ, პოდპოლკოვნიკმა დაშმა დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის დავალებით საბჭოთა გუნდის მწვრთნელს ვ. ზუბარევიჩს გადასცა მედალი „მეგობრობა". ზუბარევიჩი დაჯილდოვეს მონღოლეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დახმარებისთვის.

ფეხბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა— 3:2.

(საკდესი).

ᲡᲣᲚᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ...

◆ **ლოს-ანჟელოსი, 8 ივნისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრალიელმა რ. კლარკმა წლევანდელ სეზონში საუკეთესო დრო აჩვენა 5000 მეტრზე რბენაში — 13.32,2. II ადგილზე გასული ამერიკელი ბ. დეი გამარჯვებულს 8 წამით ჩამორჩა. მასპინძლებმა ასპარეზობის პირველ დღეს რამდენიმე სახეობაში მაღალი შედეგები მოიპოვეს: ტ. სმითმა 200 მ 20,4 წამში გაირბინა; ე. კარუზერსმა 216 სმ სიმაღლე დაძლია; ჯ. სილვესტრმა ბადრო 60,09 მეტრზე ტყორცნა.

◆ **ბუქარესტი, 8 ივნისი.** რუმინეთის მსროლელთა ლია ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენმა გრიშინმა ყველას აჯობა პისტოლეტით ვარჯიშში: მან 563 ქულა დააგროვა 600-დან. II და III ადგილებზეც სტუმრები არიან: პოლონელები მოტეკი (560 ქულა) და ზაპეცკი (559). მასპინძელთა გარდა შეჯიბრებაში 13 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ.

◆ **ბუდაპეშტი, 8 ივნისი.** სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ლ. შტეინი ლიდერობს უნგრელი მოჭადრაკე ლასლო ტოტის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში: ათ ტურში მან 8 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა კოეველი ე. გუფელდი, რომელსაც 6 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

3 ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ 4 ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ

მილანის „�eo-ში" აუზში უკვე გამოვლინდნენ წყალბურთელთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის ჯგუფებში გამარჯვებულნი. მეხიკოს 3 საგზურისთვის გადამწყვეტ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, გფრ-ის, ესპანეთისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები. I ჯგუფში ჰოლანდიელებმა ბოლო შეხვედრებში ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმეს: დაამარცხეს ავსტრიის (5:3) და ინგლისის (6:2) კოლეჯტივები.

II ჯგუფის გუნდებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში გავიდა გფრ-ის ნაკრები, რომელიც ბოლო დროს კარგად ასპარეზობს საერთაშორისო სარბიელზე. არც ბულგარელთა წარმატება გაკვირვებია ვინმეს: ეს კოლექტივი ახალგაზრდა სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, ხშირად გამოდის საპასუხისმგებლო ტურნირებში და ნაყოფიც თვალსაჩინოა.

ᲣᲐᲠᲘ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲣᲚ ᲠᲝᲓᲔᲖᲘᲐᲡ

მეხიკო, 7 ივნისი. (საკდესი). რასისტული როდეზია მომავალ საზაფხულო ოლიმპიადაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამას მოწმობს XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის პედრო რამირეს ვასკესის მიერ პირადად შედგენილი მოკლე განცხადება, რომელიც საგანგებოდ მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე წაიკითხეს. განცხადებას დართული აქვს ასევე რეზოლუციისა, რომელიც ერთსულოვნად მიიღო უშიშროების საბჭომ. ეს რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს შეხლეთონ როდეზიელთა შესვლა, აგრეთვე, აიკრძალოს ყოველგვარი საჰაერო კავშირი ამ სახელმწიფოებსა და როდეზიას შორის. ამასთან დაკავშირებით, — ნათქვამია განცხადებაში, — საორგანიზაციო კომიტეტი ასკვნის, რომ ოლიმპიადაში მოწვეული როდეზიელთა სპორტული დელეგაცია „შეუძლებლად ჩათვლის" ამ ასპარეზობაში მონაწილეობას.

ყველა გზა მეხიკოში მ

ვიტოლდ კრეერი: ორი მედალი მექსიკაში!

ვიტოლდ კრეერი, 36 წლის ხმელ-ხმელი მამაკაცია. რელიეფური მუსკულატურა მასში ყოფილ სპორტსმენს ამჟღავნებს. მართლაც, კრეერი დიდი სპორტიდან ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ წავიდა. ამ შესანიშნავმა მძლეოსანმა, ექს-რეკორდსმენმა სამხტომში სამჯერ აიღო სტარტი ოლიმპიურ თამაშებში და ორჯერ ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა მე ბევრჯერ ჩამომირთმევია ვიტოლდისთვის ინტერვიუ ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი საბჭოთა მძლეოსნური გუნდის ლიდერი და ოლიმპიური იმედი იყო. დღეს კი ვესაუბრები ვ. კრეერს, როგორც აღმზრდელს ჩვენი სამხტომელებისა, რომლებიც ამჟამად მეხიკოს ოლიმპიადისთვის ემზადებიან.



სამხტომი ერთ დროს ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ძალა იყო, ბოლო წლებში კი უეცრად ჩამორჩა. ახლა მდგომარეობა გამოსწორდა: ამ სამხტომელთა შორის, ოლიმპიადის დედაქალაქის სტარტისთვის რომ ემზადებიან, მედლების ნაღდი კანდიდატები გვეგულება. ასეთ წინსვლას ბევრი სპეციალისტი ნაკრებ გუნდში კრეერის მოსვლით ხსნის (და, ეფიქრობ, სავსებით სამართლიანადაც).

— მე აქედანვე ვუნერგავ ჩვენს ბიჭებს, რომ ვალდებული არიან მეხიკოში სამიდან ორი მედალი მოიხვეჭონ, სულ ერთია, რა მედლები იქნება ეს, — მეუბნება მწვრთნელი.

— კი მაგრამ, ეს ხომ წინ გადადგმული ნაბიჯი არ იქნება? — ვეკითხები მე.—ასეთ წარმატებას ჩვენმა სპორტსმენებმა უკვე მიაღწიეს ტოკიოში და მგონი რომშიც კი. ორივე ოლიმპიადაში ხომ ვერცხლი და ბრინჯაო გვქვდა.

— სწორია, — მეთანხმება კრეერი, — მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ მინიმუმი გამოვთქვი ზემი იმედისა. მჯერა, ჩვენს მხტომელებს შეუძლიათ ოქროს მედლისთვის ბრძოლა და არავის გაუკვირდება, თუ ისინი კვარცხლბეკის სამივე საფეხურს დაიკავებენ. მაგრამ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკის კი არა, ფიქრისაც მეშინია.

ვიტოლდს ვთხოვ დასახელოს ოლიმპიური გუნდის კანდიდატები, მოკლედ მიამბოს თვითეული მათგანზე. ისინი ოთხნი არიან, მეხიკოში კი სამი წავა. გაჩაღებულია მძაფრი მეტოქეობა, რის შედეგადაც ოთხეულიდან არც ერთს ეჭვი არ ეპარება, რომ პირად მიღწევას გაუმჯობესებს.

— ვლადიმერ კურკოვინი 25 წლისაა, — იწყებს კრეერი. — მიხსკენ სამხედრო მოსამსახურეს ხტომისთვის ჩინებული მონაცემები აქვს: სიმაღლე — 188 სმ, წონა — 78 კგ. იგი საკმარისად ლონიერია: 155-კილოგრამიანი წონით ჩაბუქნავს ხოლმე, მკერდზე 115-კილოგრამიანი შტანგა ააქვს. ბოლო 2 წლის განმავლობაში ვლადიმერი ხშირად გამოდიოდა დიდ ტურნირებში და მუდამ პრიზიორთა სამეულში ხვდებოდა. მას ძალიან მაღალი პირადი რეკორდი აქვს — 16,69 მ ეჭვი არ მეპარება, რომ კურკოვინს შეუძლია 17 მ ჩამოიტოვოს ამ ზაფხულსაც კი. მხოლოდ ერთი რამ უშლის ხელს: საკუთარი შესაძლებლობებისა ბოლომდე არ სჯერა.

ამას წინათ ვლადიმერი დაქორწინდა. მისი მეუღლე მინსკის ტელეხედვის სტუდიაში მუშაობს

ალექსანდრე ზოლოტარიოვი ყველაზე გამოცდილი და, შეიძლება ითქვას, ცნობილი მხტომელია ჩვენს გუნდში, — განაგრძობს მწვრთნელი. — იგი უკვე 28 წლისაა. ზოლოტარიოვს ეკუთვნის მეორე შედეგი მსოფლიო რეკორდსმენის, პოლონელი ი. შმიდტის შემდეგ — 16,92 მ. ეს საკავშირო რეკორდია, მაგრამ მე რომ მკითხო, ალექსანდრს ბევი არ სწყალობს: იგი ბევრჯერ სერიოზულად დაშავდა (სწორედ ამიტომ ვერ წავიდა ტოკიოში), არასდროს ყოფილა სსრ კავშირის ჩემპიონი. ზოლოტარიოვი ძალიან სწრაფია: ამ ზამთარს მან გაიმეორა საკავშირო რეკორდი 50 მეტრზე რბენაში — 5,7 წამი.

ვფიქრობ, ზოლოტარიოვის ვარჯიშს აკლდა მიზანსწრაფვა მხტომელობითი და ძალისმიერი მომზადებისკენ. ახლა მან რამდენადმე შეცვალა წვრთნის გეგმა და ზოგიერთი რამეს უკვე მიაღწია. იგი წონითა და სიმაღლით (71 კგ, 182 სმ) კურკოვინზე ნაკლებია, მაგრამ საწვრთნელ მეცადინეობაზე იმას აკეთებს, რასაც ვლადიმერი.

ზოლოტარიოვთან მუშაობა სიამოვნებას მანიჭებს. ჩვენ არასდროს არ „ეწყობამთ", მიუხედავად იმისა (იქნებ, სწორედ ამიტომაც), რომ მრავალი წლის განმავლობაში თანაგუნდელები ვიყავით, ერთად ვემზადებოდით ერთი და იმავე შეჯიბრებებისთვის. ეს მხიარული, სასიამოვნო ხასიათის ჭაბუკი ასპირანტურაში სწავლობს. საშას და მის ცოლს — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს — 5 წლის გოგონა ჰყავთ.

ნიკოლოზ დუდკინი 21 წლისაა. მარტში მან მოიგო ევროპის ზამთრის ჩემპიონატი პირადი რეკორდით — — 16,71 მ. დუდკინზე ძალიან მოქმედებს დაძაბული შეჯიბრების ატმოსფერო, უყვარს ბრძოლა. მახსოვს, მარშან, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დაწყებამდე 10 დღით ადრე, ერთ-ერთ უბრალო შეჯიბრებაში ხუთ მეტოქეებთან გამოდიოდა და მხოლოდ 14,88 მეტრზე გადახტა, სპარტაკიადაში კი 16,56 მ აჩვენა.

თუ ზოლოტარიოვის მთავარი თვისება სისწრაფეა, დუდკინი ჩვენს ოთხეულში რეკორდსმენია ძალისმიერ ვარჯიშებში. იგი გარეგნულადაც უფრო ათლეტურია, ვიდრე მისი ამხანაგები: ტანად 179 სანტიმეტრია, 76 კილოგრამს იწონის. 175-კილოგრამიანი შტანგით თავისუფლად ჩაბუქნავს ხოლმე, მკერდზედ აალებს 130-კილოგრამიანი ხიმძიმე, ატაცეში 100 კილოგრამს ამწევნებს. დუდკინი ძალზე მიზანსწრაფული სპორტსმენია. იგი მოსკოვის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს, საზღვარგარეთული ქვეყნების, სახელდობრ, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას ეუფლება. კარგად იცის ინგლისური ენა.

დაბოლოს, ვიქტორ სანდუკი. ამბობენ, რომ იგი ყველაზე ნიჭიერი და პერსპექტიული წევრია ჩვენი ჯგუფისა. არ ვიცი, შეიძლება ჩემთვის ყველა ერთია, ყველას თანაბარი შანსი აქვს მეხიკოში გამგზავრებისა. სპეციალურით სანეევი აგრონომია, ხიხუმში ცხოვრობს და თუმცა ყუბანელი კაზაკია, ხასიათი და ტემპერამენტი სამხრეთული, ქართული აქვს. ზოგჯერ ზედმეტად თავდაჯერებულია და მარცხს, რომელიც ამას მოჰყვება, მისთვის უმეტესი სარგებლობა მოაქვს.

სანეევი ბრძნობს თავის ძალას და არასდროს ნებდება, ბოლომდე იბრძვის. ეს ძალიან ძვირფასი თვისებაა. ევროპის თასის ზარშანდელ გათამაშებაში ვიეტნამთრმა სტარტზე გასვლამდე 5 წუთით ადრე გაიგო, რომ მას უნდა ეასპარეზა და არა ადრე ნავარაუდევ ზოლოტარიოვს. სხვა ვინმე ყურებს ჩამოყრიდა, ინერვიულებდა, სანეევმა კი ზოიგო შეჯიბრება და იცით, ვინ დაამარცხა! მსოფლიო რეკორდსმენი, მთელი ჯგუფი ევროპის უძლიერესი მხტომელებისა, რომლებიც ალბათ მას არც კი მიიჩნევდნენ მეტოქედ.

სანეევი არაჩვეულებრივად მოძრავია, ათნაპიჯიანი გამორბენით სამხტომში იგი ფლობს მსოფლიო რეკორდს (რასაკვირველია, არაოფიციალურს — 16,10). პირადი მიღწევა — 16,69 მ ზღვარი როდი 23 წლის სპორტსმენისთვის.

საერთოდ, ჩვენი სამხტომელების კომპანია საგანგებო შეეფერება ოლიმპიურ სტანდარტებს, — ამბობს კრეერი.

კრეერს ვთხოვ მოკლედ მიამბოს მისი მოწაფეების ოლიმპიადისწინა წვრთნის

მნელია იყო ათლეტი

თანამედროვე დიდი სპორტი — ნიჭიერი და სეროზული ახალგაზრდობის წილხვედრია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ძალისანთა ამასწინანდელი საკავშირო ჩემპიონატის დღეებში, რომელიც ლუგანსკში ტარდებოდა. ამ შეჯიბრებიდან მსოფლიო და საკავშირო მიღწევებს ელოდნენ, მაგრამ რეკორდი ცოტა იყო — მხოლოდ სამი, სპორტის მოყვარულები სეროზულად შეშფოთდნენ: წლევანდელი წელი ხომ ოლიმპიურია!..

საბჭოთა სპორტის მოყვარულთა ყურადღება ძალოსნების შედეგებისადმი გასაგებია: სწორედ ძალოსნებმა — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ოქროს 149 მედლის მფლობელებმა უნდა მისცენ ტონი გამარჯვებას მეხიკოს ოლიმპიადაში. შეძლებენ კი ისინი ერთხელ კიდევ იმის დამტკიცებას, რომ ძალოსნობის საბჭოური სკოლა ყველაზე პროგრესულია, რომ ყველაზე ლონიერი ადამიანები სსრ კავშირში ცხოვრობენ?

ჩემი აზრით, პესიმისტური განწყობილებისთვის სეროზული საფუძველი არ გვაქვს. ლუგანსკის ჩემპიონატი პირველი სასინჯი ქვა იყო. მან განსაზღვრა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა, აგრეთვე, ევროპის მომავალი ჩემპიონატის მონაწილეთა ვინაობა და უნდა ითქვას, რომ ლუგანსკში ახალი ხახელები რა გამოჩენილა. პრეზიორებს შორის არიან გამოცდილი ათლეტები და თუმცა მათი დღევანდელი მიღწევები სამეიდში სარეკორდო არ არის, მაინც ამ სპორტსმენებზე დანდობა შეიძლება — ისინი არ გიღალატებენ.

მეხიკომდე 4 თვეზე მეტია. ვფიქრობ, ამ ხნის მანძილზე ჩვენი ოლიმპიელი ძალოსნები შეძლებენ მიაღწიონ სარეკორდო მაჩვენებლებს არა მარტო ცალკეულ მოძრაობებში, არამედ სამეიდის ჯამშიც. განსაკუთრებული იმედი მაქვს ვ. კურენცოვის, ბ. ხელიცკის, ი. ტალტასისა და ლ. ყაბოტინსკისა— ყველაზე უეჭველი ოლიმპიური ჩემპიონებისა.

დამაფიქრებელია მჩატე, ქვემსუბუქი და მსუბუქი წონის ძალოსანთა მაჩვენებლები. ამ წონით კატეგორიებში ჩვენ კარგი სპორტსმენები გვყავს, მაგრამ მსოფლიო და ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამარჯვებისთვის კარგი სპორტსმენები კი არა, ექსტრა-კლასის ძალოსნები გვჭირდება. სამწუხაროდ, ისინი ლუგანსკის ჩემპიონატში არ ჩანდნენ.

დავიწყოთ მჩატე წონით. თითქოს სენსაციაა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. ვახონინმა წაგო გ. ჩეტინთან. მაგრამ ჩეტინის შედეგი — 357,5 კგ იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამ მაჩვენებლით ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამოჩენაც არ ღირს. თუმცა პერმელი ძალოსანი ნაკრების ვეტერანზე 8 წლით უმცროსია, როგორც ჩანს, ოლიმპიურ გუნდში პირველი ნომერი მაინც ვახონინი იქნება. არ შეიძლება გქონდეს იმ ძალოსნის იმედი, რომელსაც მაღალი და სტაბილური შედეგი არა აქვს დამამთავრებელ მოძრაობაში — აკვრაში. ჩეტინის შედეგი აკვრაში 137,5 კილოგრამია, ხოლო ოლიმპიური ოქროს მთავარი პრეტენდენტი, ირანელი მ. ნასირი დამაჯერებლად აჩვენებს 145 კილოგრამს. მე მწამს ვახონინისა. მას უთუოდ გაუჭირდება (ოლიმპიური ჩემპიონი 33 წლისაა), მაგრამ მაინც შეუძლია მოხსნას მსოფლიო რეკორდი სამეიდში და 370 კგ აჩვენოს.

ქვემსუბუქ წონაში ჩვენ გვყავს ძალოსანი, რომელსაც შეუძლია 400 კილოგრამს მიაღწიოს. ესაა უზბეკი ე. ქარიმოვი, რომელმაც ლუგანსკში მოუგო ქართველ ძალოსანს დ. შანიძეს. ქარიმოვს მეხიკოში გაუჭირდება, — იაპონელმა ძალოსანმა ი. მიაკემ ხომ ჯერ კიდევ 4 წლის წინათ აჩვენა 397,5 კგ და საეჭვოა, რომ დათმოს უძლიერესის წოდება თავის წონით კატეგორიაში. ნათელია, რომ ქარიმოვს ურჩევნია მსუბუქ წონაში გადავიდეს, ესე იგი, წონაში 7,5 კგ მოიმატოს. ეს ნაბიჯი ძალიან სასარგებლო იქნებოდა სსრ კავშირის ნაკრებისთვისაც.

„რა შორს წავიდა ძალოსნობა", — გავიფიქრე, როცა მსუბუქი წონის ძალოსნები ასპარეზობდნენ. 14 წლის წინათ ქაიროში მსოფლიო რეკორდი დავამყარე აჭიმვაში — 117 კგ. ლუგანსკის ჩემპიონატში კი ეს წონა საწყისი იყო: აქედან იწყებდნენ ბრძოლას ათლეტები, რომლებიც საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას არ აცხადებდნენ. გამარჯვებულმა ნ. ნოგაიცევმა 132,5 კგ აჭიმა, ხოლო ხამეიდში 417,5 კგ დააგროვა. ეს რომ მან ხუთი წლის წინათ გაეკეთებინა, ხელის გულზე ატარებდნენ, მაგრამ ახლა ნოგაიცევის მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში ჯერ კიდევ სათუოა. საბჭოთა ძალოსნობას სჭირდება ათლეტი, რომელიც 440-კილოგრამიანი ზღუდის აღებას შეძლებს.

475 კილოგრამთან შეჯიდებას აპირებს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვ. კურენცოვი. აჭიმვაში, აკვრასა და ხამეიდში მსოფლიო რეკორდების მფლობელი აი, უკვე 4 წელია „უმიზნებს" ატაცს. თუ კურენცოვი შეძლებს ამ მოძრაობაში თავისი შედეგი 140 კილოგრამამდე მაინც აიყვანოს, მეხიკოში ოქროს მედალი განადღებული ექნება. ლუგანსკში საბჭოთა არმიის ოფიცერმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და 462,5 კგ აჩვენა. მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში ამ შედეგით მხოლოდ III ადგილზე შეიძლება გასვლა.

ხაინტერესოა, რომ ჩვენი ძალოსნების უმრავლესობა აღიარებას იხვეჭს არა 20 წლის ასაკში, როგორც იაპონელები, პოლონელები ან ამერიკელები, არამედ 30 წლის ასაკში. ჩვენს ფიცარნაგებზე ხშირად იმარჯვებს არა ახალგაზრდობა და შემართება, არამედ გამოცდილება, რომელიც წვრთნისა და ჯეიბრებებში მრავალი წლის მანძილზე მონაწილეობის შედეგადაა შეძენილი. ეს შეიძლება ითქვას საშუალო წონის ათლეტებზე — 30 წლის გ. კოჩიეფსა და ბ. ხელიცკიზე, რომლებმაც ლუგანსკში კვლავ აჭობეს მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდსმენს ვ. ბელიაევს. ორივემ 470 კგ აჩვენა. არც ისე მაღალი შედეგია, მაგრამ, ჩემი აზრით, ხელიცკის ძალუძს ჩემპიონობისთვის ბრძოლა მეხიკოში, ძალუძს 500 კილოგრამს მიუახლოვდეს. სათანადო მომზადების შემდეგ ხელიცკის შეუძლია აჩვენოს ასეთი შედეგები: აჭიმვა — 160 კგ, ატაცი — 150, აკვრა — 190.

თეფშები იმსხვრევა საგედნიერო

> მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში გათამაშდება მედლები ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში. ეს უკანასკნელი პირველადაა შეტანილი ოლიმპიურ პროგრამაში. აას-ის კორესპონდენტი შეხვდა სასტენდო სროლის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეს **ა. ვალინოვსკის** და სთხოვა მას ეამბნა ოლიმპიადისთვის საბჭოთა სპორტსმენების მზადებაზე.

● **უკან დარჩა მსროლელთა რამდენიმე დიდი შეჯიბრება. რა შეიძლება ითქვას ჩვენი მესტენდურეების სპორტულ ფორმაზე?**

— ამას წინათ მოსკოვის ახლომდებარე სასროლეთზე დამთავრდა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში ყველა სპრიზო ადგილი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

საბჭოთა სპორტსმენებმა უკვე მიაღწიეს მაღალ ბრძოლისუნარიანობას. ჩემი აზრით, საბჭოთა მსროლელების მომზადების დონე ამ ეტაპზე უფრო მაღალია, ვიდრე შათი საზღვარგარეთელი კოლეგებისა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა მესტენდურეები ძალიან ინტენსიურად ვარჯიშობდნენ მოსამზადებელ პერიოდში, რამაც, რასაკვირველია, თავისი საყოფი გამოიღო. მაგრამ ეს მდგომარეობა ნაკრების მწვრთნელების წინაშე აყენებს სპასუხისმგებლო პრობლემას: სპორტსმენთა მაღალი ოსტატობა შენარჩუნებულ იქნას ოლიმპიურ ასპარეზობამდე. ამიტომ ჩვენი მსროლელები დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში ხშირად არ გამოვლენ. უმაღლეს კონდიციებამდე ოსტატობის აყვანა ძირითადად ვარჯიშის დროს მოხდება. ასეთ მეთოდს პირველად როდი მივმართავთ და მას არაერთხელ გაუმართლებია იმედი, არაერთხელ დამბარებია მსროლელებს ნერვული ენერგიის შენარჩუნებაში.

● **შეგიძლიათ დაგვისახელოთ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების ყველაზე ნაღდი კანდიდატები?**

— დავიწყებ ბრგვალ სტენდზე სროლით. ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოდის სვერდლოვსკელი ი. ცურანოვი. იგი რეგულარულად ძლევს 195-ქულიან ზღვარს, რაც ექსტრა-კლასის შედეგად ითვლება. შესაშური საბრძოლო თვისებებს ავლენს მოსკოველი ე. პეტროვი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სპასუხისმგებლო ასპარეზობის დროს, როგორიც ოლიმპიური თამაშებია. მეხიკოში გამგზავრების დიდი შანსი აქვთ სასროლო სპორტის ვეტერანს ნ. დურნევს, ახალგაზრდა პერსპექტიულ სპორტსმენებს — ნოვოსიბირსკელ ვ. გოლუბევს და სვერდლოვსკელ ნ. ბენეშს.

მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა ადგილიდან სროლაში პ. სენიჩევმა და ა. ალიპოვმა საგრძნობლად ჩამოიტოვეს თავიანთი კონკურენტები. ასე რომ, ჯერჯერობით პირველ ადგილზე მათი კანდიდატურები დგას. მაგრამ ივლისში საბჭოთა მსროლელები მელბურის ევროპულ ჩემპიონატში გამოვლენ, ერთი თვის შემდეგ კი სსრ კავშირის პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ტურნირების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ოლიმპიური გუნდი.

● **გვითხარით რამდენიმე სიტყვა საბჭოთა სპორტსმენების უველაზე ხაშინ მეტოქეებზე.**

— პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ იტალიელები. ტოკიოში ე. მატარელიმ ოლიმპიური მედალი მოიხვეჭა. მინ დაბრუნების შემდეგ ჩემპიონი იარაღის ქარხნის მეპატრონე გახდა, მაგრამ ვარჯიშს როდი დანებებია თავი. მეხიკოში იგი უეჭველად იბრძოლებს მაღალი ჯილდოსთვის. მოსკოვის ტურნირში მატარელიმ დიდი წარმატება ვერ მოიპოვა. ბოლო ვარჯიშში მან, მართალია, 100 გასროლით 96 თეფში დაამსხვრია, მაგრამ პირველ დღეს ნაჩვენები დაბალი შედეგის გამო საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა.

არანაკლებ საშიშია ლ. როსინი, სახელმოხვეჭილი იტალიელი კომპოზიტორის შვილთაშვილი. ადრიატიკის ზღვის პირას მდებარე ქალაქ ანკონის კომერსანტმა მონაწილეობა მიიღო

...ДІС

...ლიპეებზე. იგი განსაკუთ-
...ვს, რომ ბევრია დ მო-
...მარტო სპორტსმენებზე,
...ონელებზე, რომლებიც
...ადგილებზე მუშაობენ.
...კონტაქტი აქვს სანე-
...ალმზრდელთან კერსე-
...ელ მწვრთნელთან კურ-

...ერერმა თქვა, ახლა
...ნერაფეს უფრო ნაკლები
...ობა ვიდრე მხტომელო-
... მომშადებას: ნაკრე-
...ომელი საკმაოდ სწრა-
...მათგანი 100 მეტრს 11
...დროში გარბის. ოლიმ-
... კანდიდატების ასეთი
...ჯერ არ გვყოლია.
...ენ ზუსტად გვაქვს წარ-
...რიდის და რა უნდა გავა-
...ამობს კრეერი. — თვი-
...ტმენს აქვს პირადი სა-
...ამა, რომელშიც ნაჩვენე-
...ერი ვარჯიშის პროგრამა
...ამზადებდე. ეს გეგმა და-
...პროგენტით სრულდება.
... არის თუ არა საწვრთ-
...ში სიახლე, რაც უცნობი
...ქვეყნების მხტომელებისა-
..., რასაკვირველია, არ
...ი საიდუმლო, მაგრამ
...ც მითხრა. მაგალითად,
...ულტრა-სიზე". სხვა სი-
... ვთქვათ, წინასწარი გან-
...ნთების დაჭანცვაზე".
...რომ, როცა სპორტსმენი
... მას ძნელი ვარჯიშიც
...�ება მოეჩვენოს. მაგრამ
...ვიშს იგი სწორად შეას-
...ემდეგ, რაც დაიღალა,
...ემდეგს ვიღებთ. ვთქვათ,
... 40-50 მეტრი ცალ
...ით უნდა დაფაროს. მანა-
...ერი მას ცალ ფეხ-
... ჩაჯდომს სთავაზობს.
...ოდ კი არა, — სანეევს

პარტნიორი უნდა შეაჯდეს მხრებზე. და მხოლოდ ამის შემდეგ დაუსვენებლად უნდა შეასრულოს მან ძირითადი ვარჯიში. მართლაც, რომ „ულტრა-სია"!

მან ჩემი თხოვნით ჩამოთვალა საბჭოთა სამმხტომელების მთავარი ოლიმპიური მეტოქეები, დასახელა პოლონელი ისაკულსკი, რიუკბრონნი (გერ), კალოჩაი (უნგრეთი).

— შიდტი სადღაა?

— მსოფლიო რეკორდსმენი შესაძლოა ლიდერთა ჯგუფში შევიდეს, მაგრამ 33 წლის ასაკმა ხტომა არც ისე იოლია. ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი, — მიპასუხა ყოფილმა რეკორდსმენმა.

კრეერის სიაში არიან ამერიკელები უოკერი და კრეიგი, ბრაზილიელი პრუდენსიო. კრეერი გვირჩევს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სენეგალელ დიას. მისი ფიზიკური მონაცემებისა და პროგრესის ტემპის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, სენეგალელისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

—კონკურენტთა შორის უთუოდ გამორჩდება რომელიმე უცნობი, — ამბობს მწვრთნელი. — ასე ხშირად ხდება ოლიმპიადებში.

— მეტისმეტად ბევრნი ხომ არ არიან მეტოქეები?

— სამაგიეროდ, ჩვენებიც ხომ ოთხნი არიან, — იღიმება ვიტოლდ კრეერი.

ა. სრებნიცკი.

• • •

ხ უ რ ა თ ზ ე: ვ. ხანეევი.

რესპუბლიკური პირველობა და... 24 სპორტსმენი



თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირადი პირველობა ძალოსნობაში.

ვიდრე შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებზე ვილაპარაკებთ, მკითხველებს გავაცნობთ ზოგიერთ მომენტს. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ყოველგვარ შეჯიბრებას აქვს თავისი დებულება, რომლის დაცვა სავალდებულოა რა რანგის „სპორტსმენიც უნდა ასპარეზობდეს. ჩვენც სწორედ აქედან გვსურს დაეწყოთ, ვინაიდან ეს ამბავი, როგორც ჩანს, ზოგს ვისმე ვერ გაუგია, ანდა „ყლბისმქნელობის" გზას დადგომია.

საქმე ის გახლავთ, რომ შეჯიბრების დებულების მიხედვით, ფიცარნაგზე გამოსვლა შეეძლოთ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომლებსაც წლიულს უკვე ნაჩვენები ჰქონდათ პირველი თანრიგი. ამდენად გასაგებია, რომ მოსპარეზეთაგან შესაბამის შედეგებს მოველოდით.

რა გვიჩვენა შეჯიბრებამ?

თავი რომ დავანებოთ დანარჩენებს, თვით გამარჯვებულებშიც ვერ-რაა „აქმე რიგზე: მჩატე წონაში ე. ავდიანმა (თბილისის „დინამო") 250 კგ დააგროვა, რაც მხოლოდ II თანრიგს უდრის. ამ წონაში გამარჯვების უფლელი შანსი ჰქონდა მ. პართენაძეს (თბილისის „განთიადი"), მაგრამ მან ატაცში ნოლი მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა. გამარჯვებულს ვერ გაამართლებს ის გარემოება, რომ მას ეუნლად მოუხდა შეჯიბრების დამთავრება.

ქვემსუბუქ წონაში ქების ღირსია ა. სურმანიძე (თბილისის „განთიადი"), რომელმაც შეჯიბრება სპორტის ოსტატის ნორმით დასრულა — 325 კგ. აქვე ვიტყვით, რომ სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა კიდევ ერთმა: ქვემძიმე წონაში გამარჯვებულის ო. დემუროვის (თბილისის „განთიადი") შედეგია 425 კგ. სურმანიძის დანარჩენმა ორმა მეტოქემ ი. ბაბაევმა და ზ. ხაჩიროვმა (ორივე — თბილისის „დინამო") მასთან 40 კგ წაგო.

მსუბუქ წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჯ. გოქსაძემ (გარდაბნის „კოლმეურნე"), რომელმაც 355 კგ დააგროვა. II ადგილზე გასული მ. უჯუხუ (თბილისის „ბურევესტნიკი") მას 10 კგ-ით ჩამორჩა.

ქვესაშუალო წონაში დაძაბული ბრძოლა გაიმართა თბილისელებს შ. კაკობაშვილსა („სპარტაკი") და ა. ნალბანდიანს („ბურევესტნიკი") შორის. 2 მოძრაობის შემდეგ ორივეს ერთნაირი შედეგი — 225 კგ ჰქონდა. გამარჯვების ბედი აკრაში უნდა გადწყვეტილიყო. აქ ბურევესტნიკელმა 2,5 კგ-ით აჯობა მეტოქეს. სამჭიდში მისი მაჩვენებელია 370 კგ.

საშუალო წონაში ყველაზე ერთი თავით მაღლა იდგა რ. ვასპარიანი (თბილისის „განთიადი") — 402,5 კგ. II ადგილზე გასული რ. გომარელი (თბილისის „სპარტაკი") გამარჯვებულს 37,5 კგ-ით ჩამორჩა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გომარელი მხოლოდ 17 წლისაა, მაშინ ნათელი გახდება, რომ მისი სახით რესპუბლიკას პერსპექტიული ათლეტი ეზრდება.

ქვემძიმე წონაში გამარჯვებულზე ზევით ვწერდით. — დანარჩენი ორი სპორტსმენის — გ. იასუკევიჩისა (თბილისის „დინამო") და შ. ამშიკაშვილის (ქუთაისის „დინამო") მაჩვენებლები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: პირველმა მეორე თანრიგის შედეგი აჩვენა, ხოლო მეორემ — მესამე თანრიგისა.

მძიმე წონაში ორი გამოცდილი თბილისელი ოსტატი — გ. მიმინოშვილი („დინამო") და დ. მუშკუდიანი („განთიადი") იბრძოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ განთიადელმა ატაცში ნოლი მიიღო და ასპარეზობას გამოეთიშა. მიმინოშვილმა კი პირველი თანრიგის შედეგით დაამთავრა შეჯიბრება — 422,5 კგ.

ზემძიმე წონაში მხოლოდ ერთი (!) ათლეტი, თბილისელი ვ. კაზანჯიანი („განთიადი") გამოდიოდა. მან სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმით დაასრულა ასპარეზობა — 440 კგ.

დაბოლოს, მონაწილეთა წარმომადგენლობის შესახებ. 24 სპორტსმენიდან 19 თბილისელი გახლავთ. ასე რომ, შეჯიბრებისთვის თავისუფლად შეიძლებოდა დედაქალაქის პირველობა გვეწოდებინა, რომელშიც ასპარეზობდნენ, ავრეთვე, 2 ქუთაისელი, ამდენივე გარდაბანელი და 1 ცხინვალელი.

საინტერესოა, რატომ არ ჩანდნენ რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ათლეტები?!

ა. ცეხანელი.

• • •

ხ უ რ ა თ ებ ზ ე: ა. სურმანიძე (ზევით) და ო. დემუროვი (ქვევით) შეჯიბრების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



...ტრიუმფის შემდეგ
...შედეგები საგრძნობლად
...საფლიო ჩემპიონმა ვერ
...ქვეყნის უძლიერესი ათ-
...ელი საშუალო წონაში.
...ატაცებას იწვევდა ატა-
...ვრის შესანიშნავი ტექ-
...კი ამ მოძრაობებს შე-
...ემპში და დიდი შეცდ-
...ასრულებს. ათლეტის სა-
...ულიც როგორლაც მო-
...ა ნაკრების მწვრთნე-
... იმედი აქვთ ბელიაე-
...ოლდნელია, რომ მექსი-
...ბაზე იგი სელიცკისთან
...ოვა.
...(უკვე მერამდენედ!) გაგ-
...ემძიმე წონის დიდი კულ-
...ლოსანმა ი. ტალტსმა.
... ამას წინათ დუბნაში
... მსოფლიო რეკორ-
...კგ) გაუმჯობესება მან
... მაგრამ უთუოდ შეძ-
...ში სარეკორდო შედეგ-
...კგ) ჩასათვლელ ცდაზე
...ინა. 500-კილოგრამია-
... ტალტსმა საფუძ-
...თვისა. ოლიმპიური თა-
... შესანიშნავი სპორტს-
...ებით ამზადებს 517,5

...ონაში, რომელიც ერთ
...ორეობდა ჩვენში, ახლა
...ისო კლასის ბევრი ათ-
...ვა. ოლიმპიური ჩემპიო-
...ანოვი, რომელმაც სა-

ერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგი — 480 კგ აჩვენა, მხოლოდ მეექვსე იყო. გამორიცხული არაა, რომ ოლიმპიურ ფიცარნაგზე ტალტსის გვერდით გამოვიდეს კიდევ ერთი ქვემძიმე წონის ძალოსანი — ა. კიდიაევი ან ა. კალინიჩენკო. ორივე 500 კილოგრამს უტევს.

მძიმე წონით კატეგორიაში ლ. უბობტინსკი კვლავინდებურად ობლად გრძნობს თავს. ტოკიოში მის გვერდით ი. ვლასოვი იყო, მეხიკოში კი ტაბოტინსკი მარტო უნდა გაუმკლავდეს ამერიკის შეერთებული შტატების „მძიმე არტილერიას". ლუგანსკში დედამიწის ულონიერესმა ადამიანმა შესანიშნავი შედეგი აჩვენა — 220 კგ აპკრა. ახალი მსოფლიო რეკორდი! დარწმუნებული ვარ, ლენინგრადის ევროპულ ჩემპიონატში იგი კვლავ გაგვახარებს მაღალი შედეგებით, ხოლო მეხიკოში 600-კილოგრამიანი შედეგით გაიმარჯვებს.

დღეს ძნელია მსოფლიო კლასის ათლეტი იყო. ჩემპიონები გმირული შემართების ადამიანები არიან და დიდი ბედნიერებაა, რომ საბჭოთა ძალოსნობას ჰყავს ასეთი ადამიანები. ასეთ დასკვნამდე მივედი, როცა ლუგანსკის ჩემპიონატის შედეგებს ვაფასებდი.

დ. ივანოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

...ოლიმპიადაში, ორჯერ გაი-
...ის ჩემპიონატში და მელ-
...ბოროს მედალი მოიხვეჭა. რო-
... უაღრესად გამოცდილი
...
... ხალხმრავალ და ძლიერ
...ანიან ფრანგები. მათი
...დერი ჟ. პრეგო ორჯერ
... ჩემპიონატის ვერცხლის
... ადგილიდან სროლაში. სა-
...ბი იქნებიან სხვა ფრანგი
... — კარეგა, კანდელო, პე-
...ა, მათ აქვთ ერთი სე-
...ბრეკვეში: ძალზე ეკსპანსურ-
...ბირად თავს ვერ ფლობენ,
... მოძრაობის ავტომატურობა
... ნერვების მოთოკვა შეძ-
... ისინი ძალიან ძლი-
...ენ.
...ბით უნდა მოვიხსენიოთ
...ჩემპიონი ადგილიდან სრო-
...ი. ბელგიაში მას ჯერჯე-
... გამოუჩნდა ღირსეული მე-
... იმულებულია მთელ
...ბიტიალოს, რათა უძლი-
...ლებს შეეჯიბროს და ოს-

ტატობა აიმაღლოს. იგი უკვე ჩამოდასს ალაგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად, შემდეგ გამოვა საფრანგეთის, შვეიცარიისა და ბუქარესტის ტურნირებში. ამჟამად იგი ფორმაში არაა. მაგრამ, ვფიქრობთ, ოლიმპიადისთვის კვლავ ძირითადი პრეტენდენტი იქნება საპრიზო ადგილისა.

ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში თანაბრად ძლიერნი არიან პოლონელი სპორტსმენები. პირველ ვარჯიშში გამოირჩევა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის პრიზიორი ა. სმელჩინსკი. 38 წლის ვარშაველმა კბილის ეკმა დიდ შეჯიბრებში გამოსვლა 1950 წლიდან დაიწყო და უკვე მელბურნის ოლიმპიადაში მოიხვეჭა ვერცხლის მედალი. მეხიკოში იგი განსაკუთრებით ძლიერი იქნება, რადგან შესანიშნავად იტანს აკლიმატიზაციას. მრგვალ სტენდზე სროლაში პოლონეთის სპორტულ ღირსებას ალბათ დაიცავენ ახალგაზრდები ჩ. გავლიკოვსკი და ვ. დანეკი. ორივე საერთაშორისო კლასის შედეგებს აჩვენებს.

ჩვენ ამბობ რესპუბლიკებში

პლანერისტების „მოსავლიანი ზაფხული"

ორეოლი, 7 ივნისი. რეკორდების უხვ მოსავალს იმეიან წლეულს ორიოლელი პლანერისტები. ამასწინანდელ ერთ მსოფლიო და სამ საკავშირო რეკორდს გუშინ მათ კიდევ ორი საკავშირო მიეწევა დუამატეს.

მსოფლიო რეკორდსმენმა 500-კილომეტრიან დაბშულ სამკუთხედზე ფრენაში თ. ზაგაინოვამ ამჯერად განსორციელა მიზნისკენ ფრენა ეროდრომზე დაბრუნებით. მან მიაღწია მოსაბრუნ პუნქტს ტამაროვკას (ბელგოროდის ოლქი) და შეჯიბრება ორიოლში დაამთავრა: დაუჯდომლად დაფარა 490 კმ, რაც ახალი საკავშირო რეკორდია ქალებისთვის.

თავის სპორტულ ბიოგრაფიაში წლევანდელ სეზონში ქვეყნის მეორე უმაღლესი მიღწევა ჩაიწერა ა. კოვალმა. იგივე ვარჯიშში ვაეკებისთვის მან 540 კმ დაძლია და გააუქმა ადრინდელი საკავშირო რეკორდი, რომელიც კიეველ ვ. გონჩარენკოს ეკუთვნოდა (522 კმ).

რეკორდსმენები ასპარეზობდნენ სამმაგლო პლანერებით ა-15.

ეკვატორის სიგრძისა

ალმა-ათა, 8 ივნისი. ყაზახეთის ტურისტები მთელი ეკვატორის სიგრძის მანძილს გაივლიან მოტოციკლეებით მამათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე. ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მოტოგადარბენაში აქედან ჩაება რესპუბლიკის ნაკრები გუნდის პირველი ნაწილი. 13 ახალგაზრდა სპორტსმენის მარშრუტი გადის გმირ ქალაქებზე — მოსკოვზე, ბრესტზე, კიევზე, ოდესაზე, სევასტოპოლზე, ვოლგოგრადზე. 10.000-კილომეტრიანი გზის დასასრულია ყაზახეთის ახალგაზრდობის ქალაქი რუდნი.

9 ივნისს სტარტს აიღებს მეორე გუნდი, რომელიც მთლიანად ალმა-ათის ხორც-კონსერვის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისაგან შედგება. მათი გზა აღმოსავლეთისკენ მიდის მარშრუტით: ალმა-ათა, სემიპალატინსკი, ტომსკი, ნოვოსიბირსკი, კრასნოიარსკი. დიდი შესვენება მოეწყობა შუშენსკოეში (ლენინის გადასახლების ადგილი). შემდეგ ყაზახეთის სპორტსმენები ირკუტსკისა და ბრატსკისკენ აიღებენ გზას.

მესამე გუნდს, რომელშიც „ალათაუს" მაუდის ფირმის ტურისტები შედიან, იგივე მარშრუტი აქვს, რაც პირველს, მაგრამ ისინი მისი შემხვედრი მიმართულებით იელიან.

ყველაზე მოკლე მარშრუტი აქვს მეოთხე გუნდს — სულ 5600 კმ. იგი ყაზახეთის ჩრდილოეთ ოლქებზე გადის. რესპუბლიკის ალკ ცენტრალური კომიტეტის, ტურიზმის საბჭოსა და დოსაფის მიერ ორგანიზებული ლაშქრობის მონაწილენი შეაგროვებენ მასალებს ლენინური კომკავშირის ისტორიაზე.



სტარტზე არიან ავიატორები

სათვითმფრინავო სპორტი სსრ კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სპორტულ სამყაროში საბჭოთა ავიატორების მოღწევები კარგადაა ცნობილი. აას-ის კორესპონდენტმა ა. ილინმა ინტერვიუ ჩამოართვა ცნობილ მფრინავს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ი. ფოროსტენკოს.

● თუ შეიძლება, გვიამბეთ საბჭოთა სათვითმფრინავო სპორტის ისტორიაზე.

— სათვითმფრინავო სპორტი ჩვენში ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე არსებობდა, მაგრამ მეტისმეტად სუსტად იყო განვითარებული. ენთუზიასტები მხოლოდ თეორიაში მეცადინეობდნენ. ისეთმა გამოჩენილმა მფრინავებმაც კი, როგორიც იყვნენ პ. ნესტეროვი, ი. უტოჩკინი, ბ. ეფიმოვი, ვერ დაითანხმეს მეფის მთავრობა სათვითმფრინავო სპორტის განვითარებისთვის სუბსიდიების გაცემაში. ამიტომ მათი კონსტრუქციების მფრინავ მანქანებად გარდაქმნა პრაქტიკულად არ ხერხდებოდა.

ამ სახეობის განვითარება, — ხაზგასმით აღნიშნა ი. ფოროსტენკომ, — მხოლოდ დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ გახდა შესაძლებელი. სპორტული პლანერებისა და თვითმფრინავების კონსტრუქციაზე მუშაობდნენ შემდეგში ისეთი ცნობილი ავიაკონსტრუქტორები, როგორიც არიან ა. იაკოვლევი, ს. ილიუშინი და სხვ. მათ შექმნეს პირველი სამამული სპორტული თვითმფრინავები ია-1, ია-2, ია-3, შემდეგ კი უტ-1, უტ-2 (სასწავლო-საკარჯიშო). იმ წლებში შეიქმნა საგანგებო („ოსოავიახიმის“) სკოლები, რომლებიც ამზადებდნენ არა მარტო სპორტსმენ-მფრინავებს, არამედ პილოტ-ინსტრუქტორებსაც. ბედმა გამიღიმა და ასეთი სკოლა მეც დავამთავრე დონის როსტოვში. როგორც წესი, პერიფერიების საფრენოსნო სკოლებში მომზადებულ საუკეთესო მფრინავებს ტუშინოს ცენტრალურ სკოლაში გზავნიდნენ.

● როდის დაიწყო სსრ კავშირში სათვითმფრინავო სპორტის მასობრივი განვითარება?

— 1933 წელს სკოლები აეროკლუბებმა შეცვალა. ცენტრალური სკოლა სსრ კავშირის ცენტრალურ აეროკლუბად გადაკეთდა. ორი წლის შემდეგ პირველი საკავშირო არაოფიციალური შეჯიბრებები გაიმართა. ეს იყო ჩქარაფული გადაფრენა სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებით მარშრუტით მოსკოვი — სევასტოპოლი — მოსკოვი. შემდეგ მოეწყო ფრენა სიმაღლეზე, სიჩქარეზე, სიშორესა და სამკუთხა მარშრუტით. მაგრამ ყოველივე ეს რთული პილოტაჟისა და დიდი საავიაციო ტურნირების პრელუდია იყო მხოლოდ.

1948 წელს საბჭოთა მფრინავებმა საავიაციო სპორტის ისტორიაში პირველად განახორციელეს მასობრივი ჯგუფური პილოტაჟი სამამულო მანქანებით. ამ საქმის თაოსანი იყო სსრ კავშირის გმირი ვ. პავლოვი. ავიაციის დღეს მან საჰაერო აღლუმზე ოცდაოთხი პილოტი გამოიყვანა უტ-2-ით. მათ რთული კომპლექსური პილოტაჟი შეასრულეს (მარყუჟი, გადატრიალებები, ვირაჟები, ხვია) და გამოავლინეს მანქანის ფლობის დიდი ოსტატობა ყველაზე რთულ პირობებში.

● როგორია საბჭოთა სპორტული მფრინავების წარმატება საერთაშორისო სარბიელზე?

— ჯგუფური პილოტაჟის შეასრულების შემდეგ ჩვენები რეკორდების შტურმისთვის მოემზადნენ. პირველი საბჭოთა რეკორდსმენები იყვნენ მ. ჩეჩნევა, ა. ბოდრიაგინა, ნ. გოლოვანოვი, პ. ზახუდალინი. შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში 30 საკავშირო და მსოფლიო რეკორდი დამყარდა.

1960 წელს საბჭოთა მფრინავებს უმაღლეს პილოტაჟში ჰქონდათ დებიუტი. ეს იყო ჩეხოსლოვაკიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. უკრაინელი პილოტი ბ. ვასენკო წარმატებით გამოვიდა ახალი სამამულო თვითმფრინავით (იაკ-183) და დაჯილდოდა თასით „სენსაციისთვის“. მისი თანაკლუბელი ვ. ვოლოვენი ასეთივე თასით დაჯილდოვეს, ოღონდ უცხოური თვითმფრინავით წარმატებით ასპარეზობისთვის.

ორი წლის წინ მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა გუნდმა მოიპოვა პირველი პრიზი — პ. ნესტეროვის თასი. საბჭოთა მფრინავები გ. კორჩუგანოვა და ვ. მარტემიანოვი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ. სპეციალისტებმა დიდად შეაფასეს საბჭოთა სპორტული თვითმფრინავი იაკ-183ბ, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო მანქანად აღიარეს.

შარშან პირველად გათამაშდა სსრ კავშირის ჩემპიონატი რეაქტიული თვითმფრინავებით. ტურნირის პროგრამაში შეტანილი იყო ფრენა წრეზე, კომპლექსური პილოტაჟი და მარშრუტით ფრენა. ამ ტიპის თვითმფრინავებით ასპარეზობაში სსრ კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონია სპორტის ოსტატი ა. კოლმაკოვი.

ამ ზაფხულს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდება მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. საბჭოთა მფრინავები აღსავსენი არიან სურვილით — შეინარჩუნონ უძლიერესთა სახელი.



გუშინწინ თბილისის იპოდრომზე დაიწყო „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, გალის, გულრიფშის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის, სამტრედიისა და სხვა რაიონების ნაკრები გუნდები.

მაყურებელი იხილავს დაბრკოლებათა გადალახვას სხვადასხვა პრიზზე, დოლს, მარულას და სხვ.

სურათზე: „გახსნის პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში გამარჯვებული წურწუმია (ზუგდიდი) ასპარეზობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

უცხოეთის ფეხბურთის ქრონიკა

უეფა-ს ალმასკომის ბოლო სხდომაზე გადაწყდა არ ჩატარდეს ბაზრობათა თასის გათამაშება 1968-69 წლებში. ტურნირი მხოლოდ 1 წლის შემდეგ გაიმართება. თუ რითია გამოწვეული ეს გადაწყვეტილება, ჯერჯერობით გაურკვეველია. დადგინდა, აგრეთვე, უეფა-ს ყველა შეჯიბრებაში არ ჩატარდეს დამატებითი მატჩები მეოთხედფინალებამდე. გამარჯვებულები განისაზღვრებიან გატანილი ბურთებით, ამასთან, მეტოქის მინდორზე გატანილი გოლები ორმაგად ითვლება. უეფა-ს 1971 წლის ჩემპიონატის ჩატარება მოზარდთა შორის დაევალა ჩეხოსლოვაკიის ფედერაციას.

ბრაზილიის კლუბი „სანტოსი“ პელეს მეთაურობით სანპაულუდან გაემგზავრა საგასტროლოდ. გუნდი 13 საერთაშორისო მატჩს ჩაატარებს ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. „სანტოსის“ პირველი გამოსვლა შედგება 9 ივნისს იტალიაში. მისი მოწინააღმდეგეა „კალიარი“. როგორც ცნობილია, ბრაზილიის ნაკრებიც ატარებს დიდ ტურნეს, რომლის კალენდარი ასეთია: 16 ივნისს მატჩი შტუტგარტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებთან, 20 ივნისს— ვარშავაში პოლონელებთან, 23 ივნისს — ბრატისლავაში ჩეხოსლოვაკიელებთან, 25 ივნისს — ბელგრადში იუგოსლავიელებთან და 30 ივნისს — ლორენზო-მარკოსში მოზამბიკის ნაკრებთან.

„ბ“ ჯეჯილი

რსფსრ-ს III ზონა

	მდგომარეობა 9 ივნისისათვის					
	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა“ (გორი)	11	6	4	1	17—5	16
„შრ. რეზერვები“ (კურსკი)	11	6	3	2	15—4	15
„სპარტაკი“ (ბელგოროდი)	11	6	3	2	14—6	15
„დაშკინი“ (ზაჭათალა)	11	6	3	2	14—10	15
„ხიმიკი“ (ბალაკოვო)	12	4	7	1	9—5	15
„შროშა“ (მაიკოპი)	12	6	2	4	19—9	14
„ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური)	11	5	4	2	14—9	14
„სპარტაკი“ (ორიოლი)	11	4	6	1	10—6	14
„შროშა“ (ლაბინსკი)	12	4	6	2	5—6	14
„მეტალურგი“ (რუსთავი)	11	5	2	4	10—7	12
„ალაზანი“ (გურჯაანი)	11	5	2	4	15—13	12
„ტორპედო“ (არმავირი)	12	4	4	4	12—14	12
„შროშა“ (სლავიანსკი)	11	4	2	5	10—12	10
„ტრუდი“ (ენგელსი)	11	3	4	4	9—12	10
„ენერგია“ (ვოლუსკი)	12	3	4	5	6—10	10
„შროშა“ (სვეტლოგრადი)	12	1	7	4	7—12	9
„შროშა“ (ლენინგრადსკაია)	11	2	5	4	6—12	9
„ხიმიკი“ (ნევინომისკი)	11	2	4	5	6—14	8
„არაზი“ (ნახიჩევანი)	11	2	2	7	9—14	6
„შროშა“ (ალექსანდროვსკაია)	12	1	4	7	7—14	6
„შრალანი“ (ელისტა)	12	0	3	9	15—23	3

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

სსრ კავშირის თასზე

ძიძიგურის უმსგავსო საქციელი

ფოთი, 8 ივნისი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). გუშინ აქ გაიმართა მატჩი სსრ კავშირის თასზე ადგილობრივ „კოლხეთსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის.

თამაში საინტერესოდ დაიწყო. ორივე გუნდი აქტიურობდა და ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს მოწინააღმდეგის კართან. მე-20 წუთზე ლანჩხუთელთა თავდამსხმელმა ძიძიგურმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის ნაღდი შანსი, რის შემდეგ ეს ფეხბურთელი გადავიდა უხეშობაზე და მსაჯთან სისტემატურ კამათზე. ტყიბულელმა მსაჯმა თ. ერგეშლიანმა, რომელმაც კარგად ჩაატარა შეხვედრა, ძიძიგურს მინდვრის დატოვება მოთხოვა. არბიტრის კანონიერი მოთხოვნა ფეხბურთელმა ყურად არ იღო. უფრო მეტიც: სტუმრების მთელი გუნდი დავას შეუდგა ერგეშლიანთან. წესრიგი მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ დამყარდა, როცა მსაჯმა კატეგორიულად მოითხოვა ძიძიგურის მინდვრიდან გასვლა. მართალია, ბოლოსდაბოლოს, დამნაშავე დაემორჩილა მსაჯს და შემდგომში მინდორზე წესრიგიც დამყარდა. მაინც „გურიის“ ფეხბურთელთა უდისციპლინო საქციელმა ერთობ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

„კოლხეთმა“ შესვენების შემდეგ ტერიტორიულ უპირატესობას მიაღწია. ერთ-ერთი იერიშისას გუნდის ცენტრალური მცველი ფილია გავიდა წინ და უძლიერესი დარტყმით, დაახლოებით 30 მეტრიდან გაგზავნა ბურთი ლანჩხუთელთა კარში — 1:0.

ა. ლომაია.

ორი საინტერესო დებიუტანტი

ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის შედეგების თანახმად I ლიგა დატოვეს ცნობილმა კლუბებმა „შეფილდ იუნაიტედმა“ და „ფულჰემმა“.

მიმომხილველები დიდ ყურადღებას უთმობენ ახალ გუნდებს, რომლებიც ამერიდან I ლიგაში ითამაშებენ: „კუინ-პარკ რენჯერსსა“ და „იპსვიჩ-ტაუნს“. პირველი ყურადღებას იპყრობს იმით, რომ ორ სეზონში III ლიგიდან პირველში გადავიდა, რაც ინგლისის პირობებში ნამდვილი სპორტული გმირობაა.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა „იპსვიჩ-ტაუნი“. იგი დაწინაურდა ა. რამსეის ხელმძღვანელობით და 4 წლის განმავლობაში ნამდვილი ფეერორი მოახდინა: 1958-59 წლებში გადავიდა IV ლიგიდან მესამეში, 1959-60 წლებში— მესამედან — მეორეში, 1960-61 წლებში — მეორიდან — პირველში, ხოლო 1961-62 წლებში პირველად ითამაშა უმაღლეს ლიგაში და ჩემპიონიც გახდა, რის შემდეგ რამსეი ნაკრებში გაიწვიეს. 1962-63 წლებში „იპსვიჩ-ტაუნმა“ I ლიგა დატოვა.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲯᲘ

● ლონდონი, 8 ივნისი. ინგლისის ტრადიციული ველოტურის მონაწილეებს გასაკვლელი დარჩათ მხოლოდ ერთი ეტაპი, ლიდერები კი კვლავ საბჭოთა გუნდი და შვედი გ. პეტერსონია. პირად ჩათვლაში II ადგილს ინარჩუნებს ოსკელი ვ. სოკოლოვი. ბოლოსწინა, XIII ეტაპი (კარლაილი — მორკამბი, 193 კმ) მოიგო ინგლისელმა ბ. ბილსლენდმა — 5:17.48.

● ბუდაპეშტი, 8 ივნისი. რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან ტრადიციულ მატჩში (ლიპეცკი, 18-28 ივნისი) სათამაშოდ უნგრეთის ჭადრაკის ფედერაცია ძალიან ძლიერ გუნდს გზავნის. სტუმართა ნაკრებს სათავეში ჩაუდგება დიდოსტატი ლ. პორტიში, რომელსაც მხარს კიდევ სამი დიდოსტატი დაუმშვენებს — ი. ბილეკი, გ. ბარცა და ლ. ბარცაი. რსფსრ-ს გუნდის შემადგენლობა ჯერჯერობით უცნობია.

● ვარშავა, 8 ივნისი. მექსიკის ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად პოლონეთის 230 სპორტსმენი ემზადება. ისინი გამოვლენ კრიფში, ტანვარჯიშში, ბაიდარეულობა და კანოეთი ნიჩბოსნობაში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ძალოსნობაში, წყალში ხტომაში, ცურაში, ფარიკაობაში, სასტენდო სროლაში, ტყვიის სროლაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ჰიდაობასა და აფროსნობაში. შესაძლოა, მექსიკას ხუთჭიდელები და ცხენოსნებიც გაემგზავრონ. ყოველივე ამის თაობაზე ლაპარაკი იყო პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

● ძრაბინი, 8 ივნისი. აქ დიდი ტურნირი დაიწყო სამი ათასზე მეტმა ბიჭუნამ, რომლებიც 330 ეგრეთ წოდებული „ველური“ საფეხბურთო გუნდის წევრებად ითვლებიან. ქალაქის სპორტულ მოედნებზე, სადაც უძლიერესი პოლონელი ფეხბურთელები აღიზარდნენ, ყოველდღე 20 მატჩი იმართება. სპორტსაზოგადოება „ვისლასა“ და „გაზეტა კრაკოვსკას“ რედაქციის მიერ მოწყობილი შეჯიბრება სამ კვირას გასტანს. მისი მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების „აღმოჩენა“.

● ლონდონი, 8 ივნისი. ფრანგი აფროსანი ალენ გლიკსმანი (და არა ულიკსმა, როგორც ეს წინა ნომერში შეცდომით დაბეჭდილი ხაზეესის მიზეზით. — რედ.) განაგრძობს ლიდერობას ერთიულ აფროსანთა ტრანსატლანტიკური ცურვაში ევროპის ნაპირებიდან ამერიკამდე. შვიდ დღეში გლიკსმანმა დაახლოებით 650 მილი დაფარა 3000-დან.

პროფესიონალებში...

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სტადიონებზე მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი პროფესიონალ რეგბისტთა შორის. ავსტრალიის ქალაქ ბრისბეინში მასპინძლებმა მიიღეს ახალზელანდიელები და დაამარცხეს ისინი — 31:12 (7:4), ხოლო ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში საფრანგეთის გუნდმა მოუგო ინგლისის ნაკრებს — 7:2 (0:2).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.